ელექტრონული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედისძუძუ, არ გაიცვლება სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

1990 შაბათი 6 ნოემბერი №133 (10370)

ფასი 8 კაპ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახლა ერთობაა მთავარი

პირველმა მრავალპარტიულმა არჩევნებმა ნათელყო ერთი უდაო ჭეშმარიტება: ქართველ კაცს თავისი სამშობლოს, ეროვნული ვინაობის განცდა არ დაჰკარგვია. ამ ეტაპზე, რომელსაც გადაუჭარბებლად შეიძლება უწოდო ისტორიული კატაკლიზმების გზაგასაყარი, ძალზე ბევრს ნიშნავდა ქართველობას გამოეჩინა უტყუარი ალღო, მომავლის განჭვრეტის უნარი. ეს ნიშნავდა საუკუნეების განმავლობაში დათრგუნული ეროვნული პოტენციისა და ღირსების საქვეყნოდ განცხადებას, მისთვის სწორი კალაპოტის მიცემას. არსებითი მომენტი ისაა, რომ ხალხმა გამოხატა თავისი ნება, მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკურ ძალას, რომლის უფრო მეტად იმედდებოდა. და ამ ნდობას მყარი საფუძველიც გააჩნია. სწორედ ოპოზიციური პარტიებისა და ბლოკების მხარეზე აღმოჩნდა ისტორიული სიმართლე, სამომავლო გზების სწორად პროგნოზირების, ეროვნულგ-ნმათავისუფლებელი მოძრაობის საჭირო მიმართულებით და ინტენსივობით წარმართვის უნარი. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოსთვის ასეთ რთულსა და გადამწყვეტ ჟამს ჩვენი ხალხის გვერდით აღმოჩნდნენ ივერიელთა მიწაწყალზე მცხოვრები არაქართველი ტომებიც. თუ მხედველობაში არ მივიღებთ განდგომის ჟინით გონებადაბინდულ ცალკეულ მოქალაქეების ყოვლად აუხსნელ პოზიციას, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის უმრავლესობა მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. აქ ერთხელ კიდევ წარმოჩნდა ქართველი ხალხის რელიგიური, ეროვნული, პოლიტიკური შემწყნარებლობა, რაც მას ოდითგანვე ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. ქვეყანამ დაინახა, რომ ჩვენ არავის მტრობა და სიძულვილი აღარ გვწადია. ყველას, ვინც მოიწადინებს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების გათავისებას, მისდამი კეთილი განზრახვით განეწყობა, კვლავაც მიეცემა შესაძლებლობა ქართველთა მიწაწყალზე თავი შინაურულად იგრძნოს.

საქართველოს მშრომელები დიდი მოლოდინის წინაშე არიან. ყველას აინტერესებს თუ როგორი იქნება ახლადარჩეული უზენაესი საბჭო. რა საკითხები გამოიკვეთება პირველი რიგის ამოცანებად, რაზე გაკეთდება აქცენტები. რა თქმა უნდა, წინასწარი პროგნოზების გაკეთება ძნელია. მაგრამ ერთის აღნიშვნა ნამდვილად შეიძლება. საქართველომ ამიერიდან ახალი სამართლებრივი, თუ ზნეობრივი კანონებით უნდა იცხოვროს. უპირველეს ყოვლისა ძირფესვიანად უნდა გადაისინჯოს ეკონომიკური სტრუქტურები. თანმიმდევრულად და გონივრულად უნდა წარიმართოს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია. ღრმა სტრუქტურულ ცვლილებებს დაექვემდებარება სოფლის მეურნეობა, რომელიც დღემდე ბიუროკრატიულ-ადმინისტრაციული სალტეების ტყვეობაშია. უზენაესი საბჭო უთუოდ დაადგამს თავს იმ ახალი პრინციპებისა და კრიტერიუმების შემუშავებას, რომლის შესაბამისად მოგვიწევს მრავალფეროვანი ეკონომიკის დამკვიდრება მრეწველობასა, თუ სასოფლო წარმოებაში.

რას უნდა მოველოდეთ ახალი პარლამენტისაგან? ნებისმიერ ჩვენგანს ახლა ეს კითხვა მოსვენებას არ აძლევს. და პასუხიც ყველას თავისებური აქვს მოძებნილი. ერთი საერთო მნიშვნელი ალბათ მაინც დაეძებნება ამდაგვარ განწყობილებას. უკლებლივ ყველას, მთელს საზოგადოებას სურს ქვეყანაში იბატონოს ერთადერთმა ძალამ—კანონისა და შეგნების უზენაესობამ. ხალხს სწყურია ისეთი საკანონმდებლო აქტების შემუშავება, რომლებიც ნამდვილად იმუშავებენ.

ხალხს ურყევად სჯერა: ახალი უზენაესი საბჭო გაატარებს იმ რეალურ პოლიტიკას, რომელიც შეაჩერებს ამჟამინდელ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში თავჩენილ ნაჰილიზმის, სისასტიკისა და ნგრევის პათოსს, ახლა საშურია გამოიკვეთოს მოქმედების იმდაგვარი სტრატეგია, კონსტრუქციული პროგრამა, რომელიც ახლის დამკვიდრების ვნებით შეანივთებს მშრომელთა ენერგიას. აპრიორულად არ უნდა განვეწყოთ ახლადარჩეული პარლამენტისადმი უნდობლობით. იყოს მკვეთრი დიალოგი, პრინციპული დებატები, ოღონდ თან გვდევს საერთო პლატფორმამდე მისვლის სურვილი. მთელი საზოგადოება გადის თვითგანწმენდის მტკივნეულ ფაზას. ასპარეზზე გამოდიან ახალი ძალები, რომლებიც უნდა წარუძღვნენ ახალ პოლიტიკურ ვითარებას. და მოდით, მხარში ამოვუდგეთ მათ. ახლა კონფრონტაცია, ძალთა ანტაგონისტური დაპირისპირება მხოლოდ მტრის წისქვილზე დაასხამს წყალს.

ცხადია, საქართველოს ეროვნული ორგანიზმი დღეს დასნეულებულია. და ჩვენი ვალია მალამო დავადოთ ამ წყლულებს. წყლულია მიუხედავი ისტორიული ძეგლი, გაბინძურებული მდინარე, თანამემამულეთა მკვლელი საქმოსანი და ა. შ. ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, არსებობს მონანიების ინსტიტუტი. უნდა შეგვეძლოს მიტევებაც და მოთმენაც იმათი, ვინც შინაგანად ემზადება აღსარებისათვის. ვინ მოგვცა უფლება ქართველობას დავნაწილდეთ, დავქუცმაცდეთ და ერთმანეთს მტრად მოვეკიდოთ.

საქართველო უპირველეს ყოვლისა, სულიერად, ზნეობრივად უნდა მომზადდეს სუვერენიტეტისათვის, თანდათან უნდა დავიხსნათ თავი კომფორმიზმის, ნივთების ტყვეობისაგან. მუდამ გვახსოვდეს პავლე მოციქულის სიტყვები: „ყველაფერი ამ ქვეყანაზე ჩემია, მაგრამ არაფერმა არ უნდა დამიმონოს მე“.

## შეჯამებულია არჩევნების შედეგები

2 ნოემბერს თბილისში, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილ საერთაშორისო პრესცენტრში გაიმართა დასკვნითი პრესკონფერენცია. ჟურნალისტთა წინაშე გამოვიდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჟორდანია, რომელმაც ილაპარაკა გასულ კვირას გამართული არჩევნების ძირითად დაზუსტებულ შედეგებზე.

შედეგები ასეთია: 3.444.002 საერთო რაოდენობის ამომრჩევლთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.406.742 კაცმა. დარიგდა ამდენივე საარჩევნო ბიულეტენი, რომელთაგან ძალამოსილი აღმოჩნდა 2.311.921.

არჩევნებში პროპორციული სისტემის მიხედვით მონაწილე თერთმეტი პოლიტიკური პარტიიდან და ბლოკიდან ყველაზე მეტი ხმები დააგროვა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკმა. ამ ბლოკში შემავალ პარტიებსა და ორგანიზაციებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 53,95 პროცენტმა, რამაც მათ მოუპოვა 81 ადგილი პარლამენტში, ხოლო საქართველოს კომპარტიას—29.57 პროცენტმა, ეს 44 დეპუტატის მანდატია. ვერც ერთმა სხვა პარტიამ თუ ბლოკმა ვერ დააგროვა ხმების ოთხი პროცენტი—მინიმუმი, რომელიც მათ უფლებას მისცემდა წარეგზავნათ პარლამენტში თავიანთი წარმომადგენლები პარტიული სიებიდან.

რაც შეეხება კანდიდატებს, რომლებიც პერსონალურად იყრიდნენ კენჭს, დეპუტატები არჩეულია 125-დან ჯერჯერობით მხოლოდ 57 საარჩევნო ოლქში. აქაც ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „მრგვალი მაგიდის“ წარმომადგენელთა უპირატესობა. რომლებმაც 33 დეპუტატის მანდატი მოიპოვეს. კომპარტიის წევრებმა 17 მანდატი მიიღეს. დამოუკიდებელ კანდიდატთაგან დეპუტატები გახდნენ ოთხნი, თითო მანდატი მიიღეს საქართველოს სახალხო ფრონტის, „დემოკრატიული საქართველოს“ და „განთავისუფლებისა და ეკონომიკური აღორძინების“ ბლოკების წარმომადგენლებმა.

ამრიგად, გავლილი არჩევნების შედეგების მიხედვით საქართველოს ახალ უზენაეს საბჭოში „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო“ ბლოკს საერთო ანგარიშით უკვე აქვს 114 ადგილი, ხოლო კომპარტიას—61. მთლიანად კი არჩეულია 182 დეპუტატი პარლამენტის მომავალ 250 წევრთაგან.

პრესკონფერენციაზე შეკრებილთ აცნობეს, რომ კვირას, 11 ნოემბერს, გაიმართება ხელახალი კენჭისყრა ამ 59 საარჩევნო ოლქში, სადაც წარმოდგენილი იყო ორზე მეტი კანდიდატი, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დააგროვა საჭირო ხმების ნახევარზე მეტი. ამავე დღეს არის დანიშნული არჩევნების მეორე ტური შვიდ საარჩევნო ოლქში, სადაც არ აღრიცხულა ამომრჩეველთა საჭირო რაოდენობა—მათი საერთო რიცხვის 50 პროცენტი. კიდევ ორ საარჩევნო ოლქში, სადაც არჩევნები საერთოდ არ გამართულა, ორი თვის შემდეგ მოეწყობა ახალი არჩევნები.

ი. ჟორდანიამ უპასუხა ჟურნალისტთა კითხვებს.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“

### საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის წინ

## საფუძვლიანად შეისწავლიან

საწარმოო გაერთიანება „საქქაღალდმრეწვში“ მუშაობას შეუდგა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, სადაც 200-მდე ოსტატი, ბრიგადირი, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ შეისწავლის შრომის პირობებს, რომელიც კომბინატის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით არის ნაკარნახევი.

ლექტორებად მოწვეული არიან „საქქაღალდმრეწვისა“ და თბილისის ქაღალდის ფაბრიკის [illegible] ინჟინრები, განყოფილებათა გამგეები, ნოვატორი მუშები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკაში ქაღალდის მრეწველობის განვითარებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

### დემოგრაფია

## საქართველოს სადიდებლად

ფრიად კეთილი და ჰაერივით სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმე გაკეთდა დემოგრაფიული საზოგადოების დაარსებით, რომელიც უშუალო ნაყოფია ჩვენში მიმდინარე ეროვნული პროცესებისა. თქმა არ უნდა, ამჟამად მრავალშვილიანი დედები ისე ვართ ყურადღებით გარემოსილი, როგორც არასდროს. დედებს, ვისაც ყავს ხუთი ან ხუთზე მეტი შვილი, მოგვენიჭა „ქართველის დედის“ საამაყო წოდება.

საყოველთაო დემოგრაფიული პროგრამიდან გამომდინარე ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს სადროშო და ამ საზოგადოების ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაცია. მოკრძალებული ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, მათგან ჩვენ, მრავალშვილიანი დედები, კონკრეტულ მატერიალურ დახმარებას ვიღებთ. პირადად მე, როგორც ხუთი არასრულწლოვანი შვილის დედა, დემოგრაფიული საზოგადოება ყოველთვიურად 150 მანეთით მეხმარება, ახლახან ჩვენაირი (მრავალშვილიანი) დედებისათვის გაიხსნა მაღაზია, რომელიც გვამარაგებს სამრეწველო საქონლით.

მ. ჭაცია,

ახალგაზრდა მრავალშვილიანი დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვალსაზრისი

ეს წერილი არც დახურული და არც ღია. გინაიდან ორივე ფორმა ადამიანებში დადებითთან ერთად უარყოფით ემოციებსაც იწვევს.

პიროვნების კულტის და მბრძანებლურ-ბიუროკრატიული რეჟიმის აყვავების ეპოქაში გაუგონარ სიცრუეზე დაფუძნებულ დახურულ წერილებს იგონებდნენ ზედამხედველობის ფუნქციონერები. ყოვლად უსაფუძვლო ბრალდებებს უყენებდნენ ახეულ ათასობით ადამიანებს, ყველა კლასისა და ყველა ფენის წარმომადგენლებს. შემზარავი იყო დახურული წერილების შინაარსი. რა სახის ეპითეტებს არ წააწყდებით აქ. „მოღალატე", „სამშობლოს გამყიდველი", „იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტი", „ნაძირალა", „გარეწარი", „სამგზის წყეული", „ხალხის სისხლისმსმელი" და კიდევ ვინ იცის რას არ უწოდებდნენ და როგორი გამანადგურებელი იარლიყებით არ ნათლავდნენ მათ.

დახურული წერილი იხილებოდა პარტიულ ორგანიზაციებში, რაც შიშის ზარს სცემდა კომუნისტებს. ამით ორი საქმე კეთდებოდა. ჯერ ერთი, მკვიდრდებოდა შიშზე და ძალადობაზე აგებული დიქტატურის ფორმა ანუ ხელმძღვანელის სიტყვაშეუბრუნებელი ბატონობა. მეორეც, ადამიანი ცხვრის ფარას უფრო ემსგავსებოდა ვიდრე ორგანიზებულ მასას.

ავადსახსენებელი მგელაძისა და რუხაძის მიერ ეგრეთწოდებული „მეგრული ნაციონალური ჯგუფის" შესახებ 80-იანი წლებში შეთითხნულმა ცილისმწამებლურმა დახურულმა წერილმა მიწასთან გაასწორა სამეგრელოს რეგიონის ქართველობა.

მკრეხელობაში ნუ ჩამოგვართმევთ და არც ღია წერილების მიმართ ვართ დიდი სიმპატიით განწყობილი უფროსი თაობის წარმომადგენლები. ბოლო პერიოდში ღია წერილები ისე მომრავლდნენ, რომ ვერ გაიგებ ვინ ვის ედავება, ან ვისგან რას მოვითხოვთ, ეს ეს არის გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდა ღია პასუხებიც. ალბათ კიდევ სხვა ახალი ფორმებსაც ვიხილავთ.

## სატკივარი, რომელსაც უნდა ეშველოს

ახლა კონკრეტულად იმაზე რაზედაც მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო.

დღითიდღე ხელიდან გვეცლება ყოველივე კარგი და საუკეთესო, რაც დასაბამიდან შეუქმნია ქართველი კაცის გენიას. ფაქტები? რამდენიც გნებავთ იმდენი.

მსოფლიოში 20 ათასი ჯიშის ვაზია აღრიცხული. მათ შორის საქართველოზე მოდის 612 ჯიში. საქართველო ერთერთი ის ქვეყანაა, სადაც დასაბამი მიეცა ვაზის განვითარებას, მევენახეობას. საქართველოს აბორიგენული ვაზის ჯიშებიდან 70 ჯიში მსოფლიო სტანდარტის დონეს პასუხობს. ვაზი და ქართველი კაცი ერთად გაჩნდნენ. მისი გადაშენება ოჯახის ფუძის მოშლაა, ვაზის ყოველ ძირს თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს ქართველი კაცი.

სამეგრელოს რეგიონში 58 ჯიშის ვაზია აღრიცხული. კოლხეთის ზონაში კი 250. სამეგრელოს ზონაში დღეისათვის სამწუხაროდ, ერთი მათგანი შემოგვრჩა—უნიკალური ოჯალეში. გადაშენდა აბორიგენული ჯიშები, როგორიცაა ზედაგი, ჭოდი, ეგურძეული, მახვატული. საერთოდ გაქრა შვიტილური, ხარდანი, დედოფლის თითი, ჩერგვილი, შხურგვილი, ჩუში, ჩიჩქიში, სამაჭრო თეთრი, სამაჭრო შავი, ქერთოლი, ოქონა ოფოთი, ტოროკუჩხი და მრავალი სხვა.

ამ ბოლო დროს ვინ მოთვლის ცენტრმა რამდენი დადგენილება მიიღო, მაგრამ ბოლომდე არც ერთი მათგანი არ შესრულებულა ალკოჰოლიზმისა და ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ მიღებული დადგენილება ხელში ავიტაცეთ და რაც საუკუნეებში გვიშენებია ორ წელიწადში გავაცამტვერეთ, ბოლო მოვუღეთ მევენახეობას და მეღვინეობას. ამან კი აურაცხელი ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონომიკას, თუ 1984 წელს ქვეყანამ 60 მილიარდი მანეთის მოგება მიიღო მევენახეობა მეღვინეობისაგან, 1989 წელს ზარალმა 150 მილიარდ მანეთს გადააჭარბა. „მშრალმა კანონმა" ამერიკაში მაფიას ჩაუყარა საფუძველი, ძველ რუსეთში სამოგონკის წარმოებას, ჩინეთში ნარკომანიას, ამ ახალმა კანონმა ჩვენში აიყვავა ჩრდილოვანი ეკონომიკა და ტოქსიკომანია. ზუგდიდელებმა ყველას ვაჯობეთ. ცენტრიდან მიღებული დადგენილება „შესანიშნავად" მოვიმარჯვეთ და ორ წელიწადში ბოლო მოვუღეთ მევენახეობას რომლის აღდგენას ხუთი, ათეული წელიც არ ეყოფა.

სამწუხაროდ საქართველოში არ აღმოჩნდა კაცი, რომელიც წინ აღუდგებოდა ცენტრის მიერ სუბიექტურად მიღებულ გადაწყვეტილებას და ეთქვა:

—არა ძმებო ქართველი კაცი და ვენახი ერთად მოევლინენ ამ ქვეყნიერებას და მისი გადაშენება დანაშაულია,

ეკონომიურ ზარალს თავი რომ დავანებოთ რაოდენ დიდი მორალური ზიანი მიაყენა საქართველოს ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მიღებულმა დადგენილებამ მევენახეობის სამშობლოში კახეთში ბევრგან ვაზი აჩეხეს და საზამთროს მოშენებას მიჰყვეს ხელი. საქართველოს დაუძინებელი მტერი აღამაჰმადხანი, რომელსაც ქართული ვაზის აჩეხვა და ძირფესვიანად მოსპობა ჰქონდა ოცნებად გადაქცეული ალბათ სიხარულისაგან საფლავში გადაბრუნდებოდა.

განა მარტო ვენახია ახეთ ყოფაში. გადაშენდა ღომის (ჩხვერი) მცენარე. იგი ჩვენი რეგიონის მოსახლეობისათვის ძირითადი საკვები კულტურა იყო ორი ათეული საუკუნის მანძილზე. დღეისათვის ღომის ერთეული ძირებია შემორჩენილი, საჭიროა მოვუაროთ მას რათა პირწმინდად არ გადაშენდეს.

ანაკლიიდან, კოკიდან, ქახათიდან, ორსანტიიდან, შამგონიდან ძველად ათეული ტონობით გამოქონდათ თხილი საზღვარგარეთ. ისეთ ჯიშებს, როგორიცაა „ანაკლიის ფუთკური", „დედოფლის თითი" არა ერთი და ორი ოქროს და ვერცხლის მედალი ჰქონდა მიღებული მსოფლიო გამოფენაზე. ჩვენ კი რა გავაკეთეთ მის გადასარჩენად. არაფერი, საზიანო კი ბევრი. ერთი ფუნქციონერის სუბიექტურ გადაწყვეტილებას აჰყევით და თხილის ამოძირკვას მოვკიდეთ ხელი. არც მეტი, არა ნაკლები ეს ჩვენი სპეციალისტების უსუსურობის შედეგიც გახლავთ.

გადაშენდა მეგრული ძროხა, რომელიც გამძლეობისადა მომთაბარობის თვალსაზრისით შეუდარებელია, მალე ალბათ ქართული ფუტკარი წითელ წიგნში შესატანი გახდება. არა და მას ბადალი არაყავს მსოფლიოში თვინიერებით, გამრავლების უნარით, თაფლის მოპოვების თვისებებით და რაც მთავარია ხორთუმის სიგრძით მას ვერცერთი ჯიშის ფუტკარი ვერ შეედრება. ქართული რუხი ფუტკარი, რომელიც ყველაზე ლაღად გრძნობს თავს მუხურის ხეობაში, ლამის გადაშენდეს. ქართული ფუტკარი ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-100 კილოგრამ სასაქონლო თაფლს იძლევა წელიწადში, ჩვენთან კი 5-6 კილოგრამს.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრული და ანგორული ჯიშის თხა მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ჯიშად ითვლება. დღეს მთელი სამეგრელო რომ შემოიარო ამ ჯიშის თხას ვერსად შეხვდებით. ჩვენ ისეთი ხელმძღვანელიც გვახსოვს რომ თხა თვალის დასანახადაც არ უნდოდა. აქაოდა ჩაის ბუჩქებს აზიანებს, მწკრივებშორის გაფხვიერებულ მიწას ტკეპნის და ბუჩქის ზრდა განვითარებას ხელს უშლისო, საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელებს ოფიციალური მითითებაც კი მისცა თხების მოსპობის შესახებ.

უცნაურია მაგრამ ფაქტია ამ ხელმძღვანელს ძალიან უყვარდა თხის ხორცი, სუფრას რომ მოუჯდებოდა პირველ რიგში მომტანს იმას კითხავდა თხის ხორცი თუ გაქვთო. გამორჩეულად კი თიკნის ხორცს უფრო ეტანებოდა, მაგრამ რატომღაც ეს ცოცხალი არსება ეჯავრებოდა და მის გადასაშენებლად ყველა ზომას ღებულობდა. ხომ არალოგიკურია მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცევით.

არქანიებისა და ფიფიების ფერმაში გარდა მეგრულისა არცერთი ჯიშის ცხვარს არ ურევდნენ. ისინი გამოირჩეოდნენ გარეგანი სილამაზით, ეკოლოგიურ პირობებთან კარგი შეგუებით. ამ ჯიშის ცხვარი დიდი რაოდენობით მაღალი ხარისხის მატყლსაც იძლეოდა, საიდანაც მზადდებოდა ეგრეთწოდებული „ჭვარტული ნაბადი" გაქრა ჭვარტული ცხვრის ფარა, გაქრა „ჭვარტული ნაბადიც".

სადღაა მეგრული ჯიშის ტანმორჩილი ცხენები. ამ ცხენებთან ერთად წარსულს ჩაბარდა მარულა თარჩია, ისინდი და ცხენოსნური სპორტის სხვა სახეობანი.

ერთი სიტყვით ამ 70 წლის მანძილზე თითქმის მოისპო ცხოველთა და მცენარეთა საუკეთესო ჯიშები.

ამ ბოლო წლებში ენერგიულად შევუტიეთ ჩვენებურ სიმინდს. ოსტატურად და მეთოდურად დავიწყეთ მინდვრიდან „აჯამეთის თეთრის" და „აბაშის ყვითელის" გაძევება. მის სანაცვლოდ კი იუგოსლავიის ჰიბრიდს დავუთმეთ ადგილი. ვითომ რა იუგოსლავიის ჰიბრიდი სჯობს „აჯამეთის თეთრს" და „აბაშის ყვითელს"? რა თქმა უნდა არა, მაგრამ ზემოდან კარნახს ვართ ჩვეული და რაკი გვიბრძანეს უყოყმანოდ შევასრულეთ.

კიდევ ბევრი კონკრეტული მაგალითების მოტანა შეიძლება, მაგრამ ვფიქრობ ესეც საკმარისია. ვიდრე გვიან არ არის საჭიროა საქმეს დროზე მივხედოთ, აღვადგინოთ და შევინარჩუნოთ ყველა ის ჯიშები რასაც სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი კუთხისათვის, ხალხისათვის.

ამირან შეროზია,

ზუგდიდის ეთერზეთების კომბინატის დირექტორი.

## ემრავლოს თქვენს მოდგმას!

სოფელი მარტო შრომისმოყვარეობით, კაცთმოყვარეობით როდია გამორჩეული, არამედ გამტანობითაც თანადგომითაც, ერთი ოჯახის ლხინი ყველას ლხინია, გასაჭირი—ყველას გასაჭირი. და ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.

ამ წერილში მოგითხრობთ სოფელ ჩხორიაზე, სადაც თორმოცდათერთმეტ მრავალშვილიან ოჯახს დაუდგია ფუძე.

აი, რა გვიამბო კოლმეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარემ მიმოზა კუხალეიშვილმა:

—მრავალშვილიანი დედები, ოჯახები, როგორც იტყვიან სოფლის სვეტები არიან, შრომობენ, იღწვიან, ეზრდებით თვალმახარა პატარები. წელს მათზე დახმარების სახით გაიცა 4340 მანეთი, ასევე გამოეყოთ სახელმწიფო [illegible]. საშუალო სკოლის დირექტორი მაყვალა ჯგუბურია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მრავალშვილიან ოჯახთა პატარებს. მათ უფასოდ ეძლევათ სასწავლო ნივთები, წიგნები. სკოლაში კოლმეურნეობის ხარჯზე მოსწავლეთა ერთჯერადი კვება უფასოდ, საბავშვო ბაღებშიც არ იხდიან კვების საფასურს.

სოფლის მშრომელთა სამსახურშია საექიმო ამბულატორია, სადაც ჩხორიელთა საყვარელი ექიმი ლიდა ფონია წლების მანძილზე უწევს სამედიცინო სამსახურს, ყურადღებიანია აფთიაქარი, ფარმაცევტი თამრიკო თათარიშვილიც.

სოფელს ეამაყება გმირი დედის ივრიფინა ჩაჩიბაიას ოჯახი, რომელიც შვილთა და შვილიშვილთა სიმრავლით მაგალითია სხვათათვის

მრავალშვილიანთა შორის არიან სახელოვანი დედები: ლიმო ხოსელია, მერი ხვიჩავა და სხვები.

ოთხი ბიჭი და ორი გოგო ეზრდებათ დოდო და გურამ მამფორიებს. უფროსი ეკა ტექნიკუმის მოსწავლეა, პატარა მანუჩარი ბაღში დადის.

პროფკომიტეტი პირველ ბავშვზე მშობლებს უხდის 50 მანეთს, მეორე და მესამეზე 100-100 მანეთს. ბავშვს წლინახევრამდე ყოველთვიურად ეძლევა 35-35 მანეთი. პროფკავშირები უნაღდებს სამედიცინო ფურცლებს და სხვა.

შემოდგომაა, სწორედ ლხინისა და ქორწილების დრო. დაწყვილდნენ ახალგაზრდები—ეკონომისტი ნატო ძიმცეიშვილი და აგრონომი ბესიკ სოსელია, სტუდენტები გურგენ ბერულავა და ნანა ძიმცეიშვილი. ეს ერთი და სხვა მრავალიო, დაილოცა სოფელშა...

ბედნიერება იყოს სოფელში, ემრავლოს თქვენს ჯიშსა და მოდგმას.

ბ. ასათიანი.

## ჩვენი ვალი

ძნელია იყო მარტოხელა დედა და თან მრავალრიცხოვანი ოჯახის პატრონი. რამდენი რამ სჭირდებათ შვილებს ნორმალური ცხოვრებისათვის. და, რაოდენ გულსატკენია, როდესაც მათ მცირედენ სურვილსაც კი ვერ უსრულებ. ის ოცი მანეთი, რომელსაც სახელმწიფო დახმარების სახით აძლევს მარტოხელა დედას ერთ შვილზე, 16 წლის ასაკამდე, არ არის საკმარისი.

სოფელ ახალკახათში ცხოვრობს თორმეტი შვილისა და ორმოცდახუთი შვილიშვილის გამზრდელი ქალბატონი ეთერ ოყუჯავა, მეუღლე ადრე გარდაეცვალა და მარტოხელა ქალმა მუხლჩაუხრელი, კეთილსინდისიერი შრომით გამოზარდა შვილები, დააოჯახა, დაბინავა. ყველა შვილი კეთილი და შრომისმოყვარეა. პატიოსანი ცხოვრების გზას ადგანან.

ბევრი გაჭირვება ახსოვს ოჯახის დედას, მაგრამ სითბო და სიყვარული არ დაუკლია შვილებისათვის.

და ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახისთვის არავის გაუწვდია დახმარების ხელი, მიუხედავად იმისა, რომ მათზე ზრუნვა მთელი საზოგადოების ვალია.

ნ. ხვიჩია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რატომ ვუბრუნდებით მოსახლეობისათვის ცნობილ საკითხებს?

გაზეთ „ოდიშის" ამა წლის 20 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის ა. ბოკუჩავას წინასაარჩევნო პროგრამა, სადაც ხაზგასმით იყო აღნიშნული: „ერთბაშად, 1978-1984 წლებში განმტკიცდა კომუნალური სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სხვადასხვა წყაროებით ვაშენებდით 20 მილიონ მანეთის კომუნალურ და საბინაო ობიექტებს... ყოველივე ეს დღეს ჩამკვდარია, ზოგიც დანგრეული და გაუქმებული"..

ამასთან დაკავშირებით იძულებული ვართ დავუბრუნდეთ საკითხებს, რომელთა შესახებ ქალაქის მოსახლეობა მეტნაკლებად ინფორმირებულია.

1985 წლამდე კანალიზებული იყო მოსახლეობის მხოლოდ 7 პროცენტი. უკანასკნელ წლებში ამ მიმართებით დიდი მოცულობის სამუშაოები იქნა ჩატარებული და ამჟამად კანალიზაციის ქსელი მოიცავს მთელი ქალაქის 28 პროცენტს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თავისუფლების (ყოფილი მახარაძის) ქუჩაზე წლების განმავლობაში განუკითხაობით შექმნილი საგანგებო მდგომარეობა; აქ ჩაწყობილი მცირე დიამეტრის მილები ვერ ატარებდა ფეკალურ მასას და მოსახლეობას ემუქრებოდა მასიური ეპიდემიის საშიშროება. მარტო ამ ვითარების ნორმალიზაციისათვის მოგვიხდა 4,5 კილომეტრზე 800 მილიმეტრიანი დიამეტრის კანალიზაციის კოლექტორის მოწყობა.

ანალოგიური სიტუაცია ქალაქის გამწმენდ ნაგებობაზე, რომელიც აშენებულია ორი ათეული წლის წინათ და მის რეკონსტრუქციაზე არავის არ უფიქრია. ამ მიზეზით მისი ეფექტიანობა მეტად დაბალია და აშკარად შექმნილია ეკოლოგიურად საშიში მდგომარეობა.

გავითვალისწინეთ რა აღნიშნული, უკვე დამთავრების სტადიაშია ამ ობიექტის გაფართოება-რეკონსტრუქციის სამუშაოები, დაახლოებით 1,7 მილიონი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით და მშენებლობა დაიწყება მომავალი წლიდან.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება ქალაქის სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგებისათვის. თუ 1988 წლამდე სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იყო მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტი, ამჟამად უზრუნველყოფილია მოსახლეობის 52 პროცენტი.

მიუხედავად ამისა, ეს პრობლემა კვლავ მწვავედ დგას. აღნიშნულს ისიც განაპირობებს, რომ თავის დროზე არავის არ უზრუნვია 20-25 წლის წინათ ჩაწყობილი წყალსადენის შიდაქსელის რეკონსტრუქციაზე, რომლის უმეტესი ნაწილი კოროზირებულია, ხშირად იქმნება ავარიული სიტუაციები და ამ მიზეზით იკარგება ისედაც დეფიციტი სასმელი წყლის თითქმის 30-40 პროცენტი. 1988 წელს დავამთავრეთ წყალსადენის შიდაქსელის რეკონსტრუქცია-გაფართოების სამუშაოების დაპროექტება 1,5 მილიონი მანეთის მოცულობით. 1989-90 წლებში ამ უბანზე შესრულდა 500 ათას მანეთამდე სამუშაოები, მომავალი წლისათვის ვითვალისწინებთ 400 ათას მანეთს. ამასთან აქტიურად ვმუშაობთ ჯვარი-ზუგდიდის წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობის დასაჩქარებლად, რომლის დაპროექტება დაწყებული იყო 1982 წელს, მაგრამ მშენებლობის დაწყებას, რომელიც ჯდება 7,5 მილიონი მანეთი, მივაღწიეთ მხოლოდ წლეულს. ამ ობიექტის ექსპლოატაციაში გადაცემით 2020 წლამდე პერიოდისათვის გადაწყდება ქალაქის სასმელი და ტექნიკური წყლით მომარაგების პრობლემა.

ბოლო წლებში განსაკუთრებით მაღალი ტემპით მიმდინარეობს გაზიფიკაციის სამუშაოები. დღეს უკვე ბუნებრივ გაზს ღებულობს 900-ზე მეტი ოჯახი.

კანალიზაციის, წყალსადენის შიდა ქსელის გაფართოების და გაზიფიკაციის სამუშაოების შესრულებით ბევრი ქუჩა საგრძნობლად დაზიანდა. ამჟამად ვღებულობთ ზომებს მათი აღდგენა-კეთილმოწყობისათვის. მარტო 1989-90 წლებში ქალაქის ქუჩებზე ახლად დაიგო 170 ათასი კვადრატული მეტრი ასფალტობეტონი. ამ საქმეში აქტიურად გვეხმარება ქალაქის ორგანიზაციები, კოოპერატივები და თვით მოსახლეობა.

ყოველივე ამას ვაღწევთ მეტად გართულებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში, როცა მეტად გაძნელებულია სამშენებლო მასალებით მომარაგების საკითხი. ამას ემატება რესპუბლიკის ბიუჯეტში შექმნილი ფინანსური სიძნელეები, რომლის დეფიციტის დასაფარავად ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულების შედეგად მიღებული თანხებიდან 1988-1990 წლებში მიმართულ იქნა თითქმის ორი მილიონი მანეთი, რაც წინა წლებში ხმარდებოდა ქუჩების კეთილმოწყობის და საერთოდ საქალაქო მეურნეობის განვითარების დამატებითი ღონისძიებების დაფინანსებას.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მეთორმეტე ხუთწლედში გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები კაპიტალური მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის. ადრეულ წლებში იზრდებოდა ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობა, თავიდან არ იყო აცილებული კაპიტალური მშენებლობის დაგეგმარებაში სერიოზული ნაკლოვანებები, არ ექცეოდა სათანადო ყურადღება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობის დაბალანსებას ფინანსურ, შრომით და მატერიალურ ტექნიკურ რესურსებთან. 1986 წელს არასაწარმოო დანიშნულების ობიექტებზე დაუმთავრებელი წარმოების მთლიანი მოცულობის თითქმის 40 პროცენტი მოდიოდა საბინაო და კომუნალურ მშენებლობაზე, რიგ შემთხვევაში, ობიექტები ბარდებოდა დაუმთავრებელი სამუშაოებით, ხარისხობრივი დეფექტებით.

1986-1990 წლებში ქალაქში მასშტაბური ღონისძიებები გატარდა სამშენებლო ბაზის განმტკიცებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი პერსპექტივები დაგვისახა კაპიტალური დაბანდების ეფექტიანად გამოყენებისათვის. თუ 1985 წელს სამშენებლო ორგანიზაციებმა 581 ათასი მანეთის ზარალით დაამთავრეს, 1990 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია 2 მილიონი მანეთზე მეტი მოგების მიღება. ხაზი უნდა გაესვას ქალაქში საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილი კაპიტალური დაბანდების საგრძნობ ზრდას, რომელმაც მე-12 ხუთწლედში 33,6 მილიონი მანეთი შეადგინა, მე-11 ხუთწლედის 11,8 მილიონ მანეთთან შედარებით. დღეისათვის ქალაქში ერთდროულად შენდება 16 საცხოვრებელი სახლი 51,7 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართით, რომელთა მთლიანად ექსპლოატაციაში გადაცემით ბინას მიიღებს 775 ოჯახი, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ ეს ძირითადად ეხება საუწყებო საცხოვრებელ სახლებს, კომუნალური ხაზით კი ბინათმშენებლობის მოცულობა სრულებით არ გვაკმაყოფილებს. ბოლო ხუთ წელიწადში ვაშენებთ მხოლოდ ერთ სახლს.. ამ მიზეზით 400-ზე მეტი ოჯახი 1971 წლიდან ელოდება ბინას.

სერიოზულად ვემზადებით მომავალი წლიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით მუშაობის ახალი პირობებისათვის. დიდ იმედებს ვამყარებთ ჩვენი ინიციატივით და საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აღმასკომთან შექმნილ სავაჭრო სახლ „კოლხეთზე", რომელმაც დიდი როლი უნდა ითამაშოს რეგიონის რესურსების გამოყენებით ძირითადი სამშენებლო მასალებით მომარაგების საქმეში. უკვე დადებულია ხელშეკრულებები ქვეყნის სხვადასხვა სამრეწველო ცენტრებთან ხე-ტყის, ცემენტის, ყოველგვარი სახის რკინის, საწვავის დიდი ოდენობით მოწოდებაზე. ამასთან აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა უცხოეთის ქვეყნების სხვადასხვა ფირმებთან ეკონომიკური კონტაქტების დასამყარებლად. პირველ რიგში გვინდა მივაღწიოთ ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნის შემოტანას, რომელიც გადაუდებლად საჭიროა ქალაქში ნაგავსაყრელთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით საბინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. უკანასკნელ წლებში მათთვის შეძენილ იქნა 480 ათასი მანეთის 62 ერთეული მექანიზმი და დანადგარ-მოწყობილობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ 1985 წლიდან კი არ ჩამკვდარა, არამედ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა საქალაქო პრობლემების გადასაწყვეტად, ქალაქის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ ყველა პრობლემა გადაწყვეტილი იყოს, პირიქით, ბევრი საკითხი მოუგვარებელია, ნაკლოვანებები გვაქვს საბინაო-კომუნალური მომსახურების და საერთოდ საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობის საქმეში. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმო-დაწესებულებების, მთელი მოსახლეობის ერთიანი ძალისხმევით ახლო ხანებში გაკეთდება ყველაფერი თითოეული ჩვენი თანამოქალაქის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ალვერ იზორია,
ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

## მიმართვა
## ქართველი წვევამდელებისადმი

ოკუპანტთა ჯარებში სამსახური პიროვნების უდიდეს დამცირებას და მისი ეროვნული ღირსების შელახვას წარმოადგენს. ქართველი ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს საბჭოთა არმიაში სამსახური, იმ არმიაში, რომელმაც 1921 წელს სისხლში ჩაახშო ჩვენი ერის თავისუფლება და მოახდინა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ანექსია.

საბჭოთა არმიაში გამეფებულია აღვირახსნილობა, უსამართლობა, ძალმომრეობა, ე. წ. „დედოვშჩინა", ლოთობა, ოფიცრებისა და უმცროს მეთაურთა დესპოტიზმი. შოვინისტი რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები არარუსი ეროვნების წარმომადგენლებს შეურაცხყოფას აყენებენ, ამ საზანით აღმოცენებული კონფლიქტები კი ხშირად დაჩაგრული ჯარისკაცის ცემით, წამებით და სიკვდილით მთავრდება. სწორედ ამ არმიის მიერ მოხდა 9 აპრილს თბილისში მთავრობის სასახლის წინ მშვიდობიან მომიტინგეთა და მოშიმშილეთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა...

დღეს, როდესაც ერთიანად გამოიღვიძა ჩვენმა ეროვნულმა შეგნებამ, საჭიროა ყოველმა ქართველმა ახალგაზრდამ კარგად შეაფასოს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სამხედრო ფორმის ჩაცმა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღოს. მითუმეტეს, არსებობს ჟენევის კონვენცია, რომელიც 1940 წლის 12 აგვისტოს იქნა ხელმოწერილი. ამ საერთაშორისო დოკუმენტის თანახმად, რომელზედაც საბჭოთა კავშირსაც აქვს ხელი მოწერილი, მაოკუპირებელ სახელმწიფოს არ შეუძლია აიძულოს მფარველობაში მყოფი პირები, რომ მათ იმსახურონ შეიარაღებულ, ან დამხმარე ძალებში. ამდენად, საქართველოში მცხოვრებ წვევამდელებს, როგორც ოკუპირებული ქვეყნის წარმომადგენლებს, უფლება აქვთ უარი განაცხადონ სსრ კავშირის საოკუპაციო ჯარებში სამსახურზე და დააბრუნონ სამხედრო ბილეთები (მიწერის მოწმობა). ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ: უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში. ქართველმა კაცმა უარი უნდა თქვას დამპყრობლის არმიაში სამსახურზე.

ხელისუფლების ყოველგვარი მცდელობა, რათა დაწოლა მოახდინოს მათზე აღნიშნული უარის გამო, განხილულ უნდა იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლისა და ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდი საქმის აღსრულებაში! გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, თავისუფალ, ქრისტიანულ საქართველოს!

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტი.

შენიშვნა: საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ზუგდიდის კომიტეტთან შექმნილია სამხედრო-საბოიკოტო კომისია, რომლის ადგილსამყოფელია ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის შენობაში, ტელეფონი 2—14—48.

# რა ღირს?

საკმაო ხანია შევეჩვიეთ მაღაზიების ცარიელ დახლებს, შევურიგდით ყველაფრის დეფიციტს, გაფუჩეჩდა საბჭოური მანეთი, ფერდობიდან დაგორებულ თოვლის გუნდასავით მატულობს და იზრდება ფასები კვების პროდუქტებზე; ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე... ცეცხლი უკიდია ბაზარს, ხოლო „სახანძრო რაზმი" ჯერ კიდევ არ მოსჩანს ჰორიზონტზე.

ჩვენი დღევანდელი ყოფის ამ მცირე კომენტარის შემდეგ გთავაზობთ ზუგდიდის „საკოლმეურნეო" ბაზარში პროდუქტებზე ფასების ნუსხას უკომენტაროდ (მონაცემი აღებულია ამა წლის 1 ნოემბერს).

ფასები (ბაზრის)
მანეთობით

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი საქონლის | 10 | კარტოფილი | 2 |
| ღორის | 7 | კომბოსტო | 1 |
| ყველი კამეჩის | 18 | მწვანილი | 7 |
| | | ვაშლი | 2-5 |
| ყველი ძროხის | 15 | ლობიო | 7 |
| ლობიო | 7 | ყურძენი | 5 |

# დროა, წესრიგი დამყარდეს!

დარწმუნებული ვარ, ჩემი ამ წერილით ყველა ზუგდიდელის გულისტკივილს გამოვხატავ. მართალია, ქალაქში მრავალი გადაუჭრელი პრობლემაა რომელიც გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, მაგრამ იმისათვის, რომ წესრიგი დამყარდეს შიდა ტრანსპორტის მოძრაობაში, დიდი ფინანსები ხომ არაა საჭირო. აქ უნდა ვიჩენდეთ მეტ პასუხისმგებლობას, საქმისადმი ობიექტურ დამოკიდებულებას, რასაც ფაქტიურად მოკლებულია სათანადო სამსახურები.

სხვა ქალაქიდან სტუმარი მეწვია. ავტობუსის ერთ-ერთ გაჩერებასთან ზუსტად ერთი საათი მოგვიხდა ლოდინი, მერე ნაცვლად ერთისა, ორი ავტობუსი მოვიდა. ტროლეიბუსით მგზავრობისას ძლივს მუშკაავდით გვერდს გზის სავალ ნაწილზე გაჩერებულ კერძო ავტომანქანებს, საკოლმეურნეო ბაზრის წინ ხომ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის ადგილი არც რჩება.

ნუთუ არ დადგა დრო, მოევლოს ყოველივე ამას, ბოლოს დაბოლოს, როდის უნდა დამყარდეს წესრიგი?

შ. ჯიქია,
ომისა და შრომის ვეტერანი.

# განმანათლებლის იუბილეს მიეძღვნა

ზეიმით აღნიშნეს 29-ე საბავშვო ბაღის აღსაზრდელპედაგოგებმა დიდი ქართველი პედაგოგისა და ერის სასიქადულო მამულიშვილის იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი.

ნორჩებმა საზეიმოდ მორთეს რაიონის კულტურის სახლის სცენა. აქვე მოათავსეს ყვავილებით შემკული იუბილარის პორტრეტი.

დიდი პედაგოგისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ ნორჩი აღსაზრდელები — ა. ფიფია, ნ. უბილავა, ნ. ბჟინავა, მ. ჩიქავა, ხ. ახალაია და სხვები.

აღსაზრდელთა ერთმა ჯგუფმა შეასრულა ქართული, აჭარული, ხევსურული ცეკვები, წარმოადგინეს ინსცენირებები: „წრუწუნა", „წითელქუდა" კი ინგლისურად შეასრულეს.

ნორჩებს ხელმძღვანელობდნენ აღმზრდელები ნ. ბუკია, მ. გობეჩია, ფ. ბერიძე.

დ. აბსავა,
ქალაქის განათლების განყოფილების მეთოდისტი.

# ემზარ ფარცვანიას ხსოვნას

## გამოსათხოვარი

მოულოდნელად ჩვენს თავზე დამტყდარი უბედურების გამო სუნთქვა გვეკვრის, სიტყვების გამოთქმა გვიძნელდება. ყველაფერს წარმოვიდგენდით, მაგრამ მთასავით ვაჟკაცს ასე ერთბაშად რომ წაგვაქცევდა სიკვდილი, არ გვეგონა, ემზარ. შენ ის კაცი იყავ, ვისაც ხელოვნების სიყვარული, ვითარცა ღვთიური მადლი დაგანათლა ბუნებამ. სრულიად ახალგაზრდამ შენი ბედი ჯერ თეატრს, შემდეგ სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლს დაუკავშირე იმ დღიდან საყვარელ კოლექტივთან ხარ, როცა იგი პირველ გაუბედავ ნაბიჯებს დგამდა. ილვწოდი დაუღალავად, როგორც ადმინისტრატორი, მოგვიანებით ქ. ზუგდიდის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე შრომობდი შენთვის ჩვეული აკურატულობით და თვითდისციპლინის გრძნობით. ლომის წილი გედო ანსამბლ „ჩელას" საკუთარი შემოქმედებითი ხელწერის დადგენაში. არ არსებობდა სიძნელე, პრობლემა კოლექტივის თვითდამკვიდრების გზაზე, შენთვის ჩვეული შეუპოვრობით არ შეჭიდებოდი და არ გადაგეწყვიტა. შენს მხრებს აწვებოდა გამორჩეულად სხვაზე მეტი ტვირთი საზღვარგარეთ გუნდის გამგზავრების ჟამს, თუ მშობლიურ საქართველოში მოღვაწეობისას.

გულდაწყვეტილნი გეთხოვებით საიმედო, ახლობელო მეგობარო. დიდხანს, დიდხანს ემახსოვრები შენს საყვარელ კოლექტივს.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი
აკ. ჭანტურია.

# მილოცვები, სურვილები...

ქ. ზუგდიდის №1 სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგეს ჯემალ ალექსანდრეს ძე როგავას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას. უსურვებს ჯანმრთელობას, პირად ბედნიერებას და გამარჯვებებს სამეცნიერო მოღვაწეობაში.

ქ. ზუგდიდის კულტურის საქალაქო განყოფილება ულოცავს ამავე განყოფილების გამგეს ჯემალ ალექსანდრეს ძე როგავას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მინიჭებას. უსურვებს ჯანმრთელობას პირად ცხოვრებაში და შემდგომ წარმატებებს ყოველგვარ საქმიანობაში.

---

მეუღლე გრავამა, შვილები: ემზარი, ოდიკო, მზია, ლესტა, ჯეირანი, ნონა ჭაფანძეები, კარლო შენგელია, და ვარდიშა, რძლები: მზიკო, ეთერი, მზია, მადონა, შვილიშვილები გოგონა, ფერია, დათო, ხვიჩა, ჯანსული, ბესიკი, პაპუნა, ნათია, ხატია, ჯონი ჭაფანძეები, რამაზი, ნავაზი ტორუები, სიძეები: ვახტანგი ტორუა, თამაზი ქვარცხავა, დისშვილები: ინალი, ონერი, ნოდარი შენგელიები, შონიკო, მარგო მოსიები, არდაშელი, კლარა, ქვათა, ნერო დღურჯიები, ცოლისძმისშვილი გურამი ოყუჯავა, ცოლისდები: ბუცა, ქუჩუჩა ოყუჯავები, მამიდაშვილი მაკარი თოლორაია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ვალიკო ციქვას ძე ჭაფანძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 ნოემბერს, დაკრძალვა 10 ნოემბერს სოფ. განმუხურში.

---

რძალი ამალია ტყებუჩავა შვილიშვილები ჯულიეტა, ლადო, მზახალი ლიდა, ინეზა, ძენგრი ტყებუჩავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვლადიმერ (ლადო) გუდუს ძე ლორჩოშვილი.

დაკრძალვა 8 ნოემბერს. გამოსვენება ფოთიდან გურიის ქ. 20, 17 საათზე.

---

ახალკახათის სასოფლო საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის გამგეობა და სამედიცინო პერსონალი იუწყებიან

კონსტანტინე (ვაჟა) ფილიპეს ძე შამათავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე გონა, შვილები ნანი, ანზორი, სოსო, თენგიზი, რძლები დენიზა ფაცაცია, თამარ ბერულავა, სიძე რიკოზა გაბელია, შვილიშვილები: ზვიადი, ირმა, ელისო, დათო ფარჯიანები, ვანო, რუსიკო, ქეთინო, ვახო გაბელიები იუწყებიან

გრიშა ვარლამის ძე ფარჯიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 ნოემბერს. დაკრძალვა 10 ნოემბერს ზუგდიდში, გამოსვენება ვაჩნაძის ქ. 11-დან. (ი. ბ. კ.).

---

ძმა სამა, და ლილი, რძალი თალიკო, ძმისშვილები: სულიკო, ნელი, ეთერი, ტარიელი, და თამაზი ჭურღულიები ოჯახით და ახლო ნათესავები იუწყებიან

ბუხუტი (ლუტი) ბადურას ძე ჭურღულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ნოემბერს. დაკრძალვა 8 ნოემბერს სოფელ ახალსოფელში.

---

ძმა იროდი რაფავა, დები სულიკო, ძაბალა ლაგვილავები, ძმისშვილები დათო, ოთარი, მაია რაფავები, დისშვილი დათო ქობალია. რძლები ნუცა კანკია, ინა ლატიშევა, დისშვილები: თინა, ნელი. სიძეები რადიონ ბულია, ზაურ კვარაცხელია ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ხიხუ სამსონის ასულ ლაგვილავას

გარდაცვალებას. გამოსვენება 10 ნოემბერს ქ. ზუგდიდი, სოხუმის ქ. 4, მეორე შესახვევი, დაკრძალვა კორცხელში 4 საათზე.

---

მეუღლე კაკო ფაცია, დედა ლოლა კუხალეიშვილი, შვილი ემზარ ფაცია, დები ტორო, ნაპო, ძმა ბაბუში კუხალეიშვილები, რძალი ნელი ქარდავა, მულები გოგოლა. რუსიკო ფაციები, სიძეები: გიგა ხვიტია, გულიკო აკობია, ნოდარ ბერულავა, დეიდები: მარუსია. ჰანია თორდიები, დისშვილი როზა ხვიტია, ძმისშვილები ლანა, ლაშა კუხალეიშვილები, მულიშვილები: ოთარი, ზური, მედიკო ღვებუაძეები, ლუიზა, რუსუდანი, დარეჯანი, ელისო, მარინა, ირინა აკობიები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან

მარგო (მადონა) კუხალეიშვილი-ფაციას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 ნოემბერს. დაკრძალვა 10 ნოემბერს, გამოსვენება ქ. ზუგდიდი, თბილისის ქუჩა 43.

---

შვილები: რევაზი, ნაირა, ცისანა, ლეილა, დები: ბაბუცა, მარგო, ნათელა, ძმა ჯოტო სიჭინავა, რძლები: რუსიკო ცქვიტაშვილი, რაისა ქუთელია, სიძეები: გიბლარი ჭითანავა, ლოპი ფიფია, მიშა სახურია, ვაჟა ჯანაშია, შვილიშვილები: კახა, დემნა სიჭინავები, რიმა ჭითანავა, ლევანი, ლექსო ფიფიები, დისშვილები: ბადრი სახურია, დარეჯანი, მანანა, მარინა, ლეილა, გული, ლამზირა კარტოზიები, რამაზ ჯანაშია, ძმისშვილები: ჯემალი, გიგლა, თამაზი სიჭინავები, მძახლები: გუგული ჩხარჩხალია, იროდი, ფინია ჭითანავები, ლუსი ფიფია, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ამირან ბათლომეს ძე სიჭინავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8, 9 ნოემბერს. დაკრძალვა 10 ნოემბერს სოფელ კახათში.

---

მამიდა ზინა ფანთია შვილებით: კოტე, ცისანა, როზა, ლონდა. რძალი ლამარა გუგუციძე, სიძეები დათო გუგუშვილი, მუშური ბერულავა, გურამ ჩიქავა იუწყებიან

ჯანიკო ჭიჭიკოს ძე თორდიას

გარდაცვალებას.

---

მზახლები ნუცა, გერონტი შოგირაძეები შვილებით, შვილიშვილებით და რძლებით იუწყებიან

ლავრენტი ფარცვანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე პარმენ სორდია. შვილი გარი. ძმები: იმელიონი, ბორიკი. რძლები მარია შერბი, ოლიკო ბოხუა, ნანული ქუთელია, ბიცოლა ნათია კაცია, შვილიშვილები: რომეო, ანა დაგარგულიები, ძმის შვილები: იამა, ლუარა, მარინა, დათო, ზურაბი, დალი, ვალოდია, გალია, სულიკო დაგარგულიები, ბიძაშვილები შუხუზი, ჯანიკო, დანაბედარი გაბისონიები, დისშვილი დავმარა ჭითანავა, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

ეთერ დიანოზის ასულ დაგარგულიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7 ნოემბერს. დაკრძალვა 8 ნოემბერს სოფ. ურთაში.

---

დედა ვერა, მეუღლე სონია. შვილები: ჯემალი, მალხაზი. რომანი. ძმები: შოთა, იურა. ზაური, რაინდი. და ციალა, შვილიშვილები: თამუნა, პაპუნა გაბრავები, ძმისშვილები: მერაბი, ზურაბი. ზაზა. ზვიადი. ნანა. ნონა. გოგიტა. თეა. რიმა. ჯონი. დისშვილები: მადონა. ნინო, ბადრი მალანიები. ელისო. ეკა. გარი ქანთარიები. სიძეები ლუსი მალანია, გურამი ქანთარია. ჯემალ სიჭინავა. ზური ბურჭულაძე, რძლები ასმათი. ნინო, რუსიკო. სვეტა. მაია. მადონა. მამიდა ოლია. დეიდები: თამარა, გულნარა. კატუშა. სიმამრი ვრიშა. ცოლისდა რიტა. ცოლისძმები: ვალოდია. ერი. ფრიდონი, ელგუჯა, ტილმანი კეცბაიები. ბიძაშვილები. მამიდაშვილები. დეიდაშვილები იუწყებიან

ჟორჟი (ვენიამი) ბიქტორის ძე ჭილაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8. 9 ნოემბერს. დაკრძალვა 10 ნოემბერს ჭითაწყარში.

---

საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ზუგდიდის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა მუსიკალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ემზარ პროფის ძე ფარცვანია.

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი იუწყება

ემზარ პროფის ძე ფარცვანიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ქალაქის №9 საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან

აპოლონ იოსების ძე კარტოზიას

გარდაცვალებას.

---

შვილები: რიტა, კახა ჯაბუები, დედა ნათელა. მამა მალაქია, ძმები: ზაური. ჯემალი ჭაჭუები, სიმამრი ჭიჭიკო ჯაბუა, რძლები: თინა შამუგია, ნანული ჭითაშვილი, მული მზისა, სიძე ვახტანგი ჯიქია, ძმისშვილები: ელგუჯა, გოჩა, მაკა, დარეჯანი, გია, ნატო ჭაჭუები. მაზლიშვილი დალი ჯაბუა, მულიშვილები: გია, რომანი, ნანა ჯიქიები, დეიდები: ოლია, ზინა, ბიძია ვალერიანე ლომაია, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ჯულიეტა მალაქიას ასულ ჭაჭუა-ჯაბუას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 8, 9, 10 ნოემბერს. დაკრძალვა 11 ნოემბერს სოფ. კოლხიდაში.

---

დედა ბაბუცა, მეუღლე ნანული, შვილები: პაატა, ჯანსული, ძმა კუკური, დები დიანა, გულნარა, ციური, ინეზა, რძლები მედეა კოპაძე, გენრიეტა ფირცხალავა, სიძეები: ვაჟა როგავა, ნოდარ ცაცუა, ლაპიკო ფიფია, მირიან ნადარაია, გურამ ხოფერია, კომუნარ ბერიშვილი, მამიდები: ვენია, ზინა, შურა, ცოლისდა ნათელა, ცოლისძმა ზურიკო ბულიები, ბიცოლა სონია. ბიძია დავითი, ძმისშვილი მაკა, დისშვილები ნინო. თენგიზი, კახა, კობა, ტარიელი, ჟანა, თეა, ნათია, თამარი, ნატა, შოთა ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა ჯანიკო ჭიჭიკოს ძე თორდია.

პანაშვიდი 8. 9, 10 ნოემბერს დაკრძალვა 11 ნოემბერს კორცხელში.

---

და დუშა, სიძე ცოცო, დისშვილები: გულიკო, სულიკო, ქეთო, ვახტანგი, ნოდარი ხასაიები იუწყებიან

ქსენია კოწიას ასულ ხარჩილავა-ხურცილავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზუგდიდის სარაიონთაშორისო პროკურატურის რაიონის სასამართლოს და საგამომძიებლო ქვეგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ანდრო ივლონის ძე ფიფიას

გარდაცვალებას.

---

შურა და ვალერიანე კვირკველიები ოჯახით იუწყებიან რძლის

ნინა გრიგოლის ასულ შელია-კვირკველიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 11 ნოემბერს, გამოსვენება ჩხოროწყუში ლესელიძის ქ.10.

И Н Д Е К С 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი - 23 07 ტირაჟი 22000 შეკ. №4772